ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 33

“ 20 ” თებერვალი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა №107ბ-ში არსებული 47.99 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.08.023.002.01.523) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N107ბ-ში არსებული 47.99 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.08.023.002.01.523) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 14 თებერვლის № 24.209.242 განკარგულებით გათვალისწინებული - ქალაქ თბილისში, ქუჩა ყვარელი № 107ბ-ში, პირველ სართულზე მდებარე 47.99 კვ. მ. ფართობის უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.17.08.023.002.01.523) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად ირმა კაპანაძისთვის (პირადი № 25001004307) საკუთრებაში გადაცემაზე, ხსენებულ პირთან დასადები, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე